

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი
საგადასახადო მიმოხილვის ანგარიში
2019 საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი	
მიმართვა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას	3
1. შესავალი.....	4
2. ტერმინთა განმარტება	5
3. შესაძლო/მოსალოდნელი ფინანსური სანქციები.....	6
3.1. ჯარიმა გადასახადის თანხის შემცირებისთვის.....	6
3.2. სხვა ჯარიმები	7
3.3. საურავი.....	7
4. გამოვლენილი საკითხები	8
5. მოგების გადასახადი	9
5.1.1. არარეზიდენტი პირები.....	9
5.1.2. არარეზიდენტის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადი	10
უკუდაბეგვრის დღე	11
5.2. საშემოსავლო გადასახადი.....	12
5.3. გამოვლენილი ფასეულობების დანაკლისი	12
5.3.1. შეღავათით მოსარგებლე დაქირავებული პირები.....	13
5.4. დამატებული ღირებულების გადასახადი.....	14
5.4.1. საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობა და ძირითადი საშუალებების მიხედვით დღე-ის ჩათვლის წესი	14

მიმართვა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას

სს „ფი ქეი ეფ კაიზენსა“ და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ (ს.ნ.: 204858163, „ორგანიზაცია“) შორის 2020 წლის 01 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, წარმოგიდგენთ ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშს, 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებულ პერიოდზე („შესამოწმებელი პერიოდი“).

მუშაობის პროცესში, ინფორმაციას გვაწვდიდა ორგანიზაციის მთავარი ბუღალტერი, ქალბატონი მაკა დუნდუა, რომელსაც გვინდა მადლობა გადავუხადოთ გაწეული მხარდაჭერისათვის.

საგადასახადო მიმოხილვის პროცესში ვეყრდნობოდით ორგანიზაციის მხრიდან მოწოდებულ ინფორმაციას. მიმოხილვა განხორციელდა ორგანიზაციის საბუღალტრო ჩანაწერების, საგადასახადო დეკლარაციების, გაფორმებული ხელშეკრულებებისა და პირველადი დოკუმენტაციის მიხედვით. წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეზე მთლიანად პასუხისმგებელია ორგანიზაცია.

წინამდებარე ანგარიშით ჩვენ არ გამოვხატავთ რწმუნებას, რომ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საბუღალტრო აღრიცხვა და წარდგენილი საგადასახადო ანგარიშგება სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს.

ჩვენ მიერ ორგანიზაციის მენეჯმენტისგან მიღებული ინფორმაციისა და დოკუმენტების (საგადასახადო კითხვარი, გასაუბრებები და მიღებული დოკუმენტაცია), ასევე ორგანიზაციის საბუღალტრო ბაზების და გაანგარიშებების შედარება განხორციელდა ორგანიზაციის მიერ წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციებთან; ასევე, ჩვენ მიერ საგადასახადო ანგარიშის შედგენისას შემუშავებული პროცედურების ფარგლებში, განხორციელდა საბუღალტრო გატარებების სისწორის ანალიზი პირველად დოკუმენტებზე დაყრდნობით.

განხორციელებული პროცედურების მიზანია არა აბსოლუტურ, არამედ გონივრულ ფარგლებში დადასტურება იმისა, რომ ორგანიზაციის მიერ წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვა და საგადასახადო ანგარიშგება არ შეიცავს უნებლიეთ ან განზრახ დაშვებულ, არსებით უზუსტობებს, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობითა თუ შეცდომით. ამასთან, მიმოხილვა ტესტური ხასიათისაა და სხვა თანმდევი შეზღუდვების, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის ნებისმიერი სისტემის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, არსებობს რისკი იმისა, რომ აღმოუჩენელი დარჩეს ზოგიერთი არსებითი უზუსტობა.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია მისი შედგენისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შესამოწმებელ პერიოდში ოპერაციის შეფასებისას ვიხელმძღვანელებთ ოპერაციის განხორციელების მომენტში მოქმედი კანონმდებლობით. ჩვენ არ ვიღებთ ვალდებულებას შეცვალოთ, განვაახლოთ ან ხელახლა გავცეთ წინამდებარე მოსაზრება კანონმდებლობის შეცვლის ან/და განახლების შემთხვევაში.

სს „ფი ქეი ეფ კაიზენი“ წარმოადგენს „ფი ქეი ეფ ინტერნეიშენალ ლიმიტედის“ წევრ, დამოუკიდებელ კომპანიას. „ფი ქეი ეფ ინტერნეიშენალ ლიმიტედი“ ან/და მისი სხვა წევრი კომპანიები არ იღებს პასუხისმგებლობას მისი წევრი სხვა კომპანიების მიერ შესრულებულ სამუშაოზე, რომელსაც თითოეული მათგანი აწვდის კლიენტს.

ჩვენ სიამოვნებით დაგეხმარებით ნებისმიერი საკითხის დამატებით დეტალურ განხილვაში, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას წინამდებარე ანგარიშის განხილვის პროცესში.

პატივისცემით,

გრიგოლ სიდამონიძე
პარტნიორი,
სს „ფი ქეი ეფ კაიზენი“



1. შესავალი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (ს/ნ: 204858163, „ორგანიზაცია“) არის ქართული კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭო და გენერალური დირექტორი. ორგანიზაციის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N68.

ორგანიზაცია “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად ახორციელებს თავის ძირითად საქმიანობას. ის წარმოადგენს პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალ, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამის მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით დაფუძნებულ პირს. ორგანიზაცია შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე, ტელერადიო მაუწყებლობისათვის, არის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული პირი. იგი არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის ორგანიზება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ; პროგრამების წარმოება, გახმოვანება, ტირაჟირება და საზოგადოებისათვის მიწოდება; კანონმდებლობით დადგენილი წესით აუდიო-ვიდეო და კინოპროდუქციის შექმნა, ამ პროდუქციაზე საავტორო, ინტელექტუალური საკუთრების და სხვა უფლებების მოპოვება; ტელერადიო პროდუქციის შექმნისათვის საჭირო პირობების შექმნა; სარეკლამო პროდუქციის დამზადება და სარეკლამო მომსახურების გაწევა და ა.შ.

ორგანიზაცია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის № 429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით, ოპერაციების აღრიცხვისათვის იყენებს დარიცხვის მეთოდს და ამას ახორციელებს ბუღალტრული პროგრამა ორისის მეშვეობით.

შესამოწმებელი პერიოდის დასაწყისში რს პორტალზე ორგანიზაციის პირად ბარათზე ირიცხებოდა ზედმეტად გადახდილი გადასახადი 66,667.72 ლარი, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობის ირიცხებოდა ზედმეტად გადახდილი გადასახადი 127,830.02 ლარი.

2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე საგადასახადო ანგარიშში გამოყენებულ ტერმინებს აქვს ქვემოთ მოცემული განმარტებები:

ანგარიში	წინამდებარე საგადასახადო ანგარიში;
დღგ	დამატებული ღირებულების გადასახადი;
კანონმდებლობა	საქართველოს კანონები, კანონქვემდებარე აქტები და სხვა, ნებისმიერი ნორმატიული აქტი, კონტექსტის შესაბამისად;
ორგანიზაცია	სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ს.ნ.: 204858163 ;
მაკონტროლებელი ორგანოს პორტალი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოსავლების სამსახური; გადასახადის გადამხდელის ელექტრონული გვერდი www.rs.ge -ზე;
სსკ	საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მიღების თარიღი: 17.09.2010);
უნიკალური დოკუმენტი/დოკუმენტაცია	ტიპური ოპერაციის/ოპერაციების ამსახველი დოკუმენტი/დოკუმენტაციის პაკეტი, რომელსაც იყენებს ორგანიზაცია იდენტურ ოპერაციებთან მიმართებით.
ქონება	ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონება და მიწა;
შესამოწმებელი პერიოდი	2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი;
საპენსიო შენატანების გადახდის წესი	საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ (მიღების თარიღი 21.07.2018); საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება № 002 , 2019 წლის 30 ივლისი ;
DTA-ს გამოყენების წესი	საქართველოს ფინანსთა მინისტრის № 633 ბრძანება, „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ (მიღების თარიღი: 28.12.2011);

3. შესაძლო/მოსალოდნელი ფინანსური სანქციები

წინამდებარე ანგარიშში გამოვლენილი შეუსაბამოების აღმოჩენის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურმა შესაძლოა გამოიყენოს სსკ-ით გათვალისწინებული შემდეგი ფინანსური სანქციები:

3.1. ჯარიმა გადასახადის თანხის შემცირებისთვის

საგადასახადო დეკლარაციაში ან/და გაანგარიშებაში გადასახადის შემცირებისათვის სსკ-ის 275-ე მუხლის მიხედვით, დადგენილი ჯარიმა გაანგარიშდება შემდეგნაირად:

საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის შემცირებისთვის, თუ იგი გამოწვეულია შემოსავლების სამსახურის მიერ ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტის (პერიოდის) შეცვლით, ორგანიზაციას დაეკისრება ჯარიმა შემცირებული გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით;

საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება, თუ შემცირებული გადასახადის თანხა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში აღნიშნული გადასახადის თანხის 5 პროცენტს არ აღემატება, - გამოიწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით;

საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება, თუ შემცირებული გადასახადის თანხა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში აღნიშნული გადასახადის თანხის 5 პროცენტზე მეტია და 20 პროცენტს არ აღემატება, - გამოიწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 25 პროცენტის ოდენობით;

გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის შემცირებისთვის ორგანიზაციას დაეკისრება ჯარიმა შემცირებული გადასახადის თანხის 50 პროცენტის ოდენობით;

საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში შესამცირებლად გამოანგარიშებული თანხის/ დაბრუნებას დაქვემდებარებული თანხის გაზრდა, ასეთ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირებად განიხილება და, შესაბამის შემთხვევაში, გამოიწვევს დაჯარიმებას ზემოთ აღნიშნული პუნქტების შესაბამისად.

საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის 100,000 ლარზე მეტით შემცირება მიიჩნევა გადასახადისგან თავის არიდებად და, ჯარიმასთან ერთად, გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

შენიშვნა: საგადასახადო შემოწმების შედეგად, 275-ე მუხლის შესაბამისად, შეფარდებული ჯარიმების ჯამური ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს შესაბამისი საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახდელად დარიცხული გადასახადების თანხების ოდენობას.

შენიშვნა: დეკლარაციაში გადასახადის შემცირებისთვის, ჯარიმა ორგანიზაციას შესაძლოა დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლების სამსახური დაადგენს სამართალდარღვევას. გადასახადის გადამხდელის მხრიდან, დეკლარაციაში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ მოხდება

დეკლარაციის დაზუსტება, კომისიას დაერიცხება მხოლოდ საურავი გადასახადის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისთვის.

3.2. სხვა ჯარიმები

სსკ-ის 291-ე მუხლის მიხედვით, პირის მიერ სსკ-ით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, რისთვისაც ამავე კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა, მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა, იწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

3.3. საურავი

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახდელი თანხის გადაუხდელობისთვის, სსკ-ის 272-ე მუხლის მიხედვით, ორგანიზაციას დაეკისრება საურავი, რომელიც შეადგენს გადაუხდელი გადასახადის თანხის 0.05 პროცენტს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

შენიშვნა: საურავის დარიცხვა გრძელდება მისი დარიცხვის ვალდებულების წარმოშობის დღიდან 3 წლის განმავლობაში

4. გამოვლენილი საკითხები

საგადასახადო შემოწმებისას, რისკების გამოვლენისა და იდენტიფიცირებისათვის შევისწავლეთ ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ბრუნვითი უწყისის და გატარებების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია (შერჩევის საფუძველზე) და ორგანიზაციის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები. ინფორმაციის შინაარსის დაზუსტებისა და დეტალიზაციისთვის, გავესაუბრეთ ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირებს. მუშაობისას დავეყრდენით ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, დოკუმენტაციასა და შევსებულ საგადასახადო კითხვარს.

საგადასახადო მიმოხილვის დროს ვეყრდნობოდით ოპერაციის განხორციელების დროს მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობას. კანონმდებლობაში ბუნდოვანების არსებობისას, როდესაც ცალსახად შეუძლებელია კანონის განმარტება, ვიხელმძღვანელებთ ჩვენი ინტერპრეტაციით, რაც ეფუძნება ჩვენი გუნდის მრავალწლიან გამოცდილებას და საუკეთესო პრაქტიკას.

ჩვენ მაქსიმალურად ვცადეთ შეგვესწავლა თითოეული დეტალი, რომელსაც არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ორგანიზაციის მიერ წარმოებული საგადასახადო ანგარიშგებაზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, შევისწავლეთ ყველა იმ ოპერაციის პირველადი დოკუმენტი, რომლის ჯამური ღირებულებაც შესამოწმებელ პერიოდში აღემატებოდა 500,000 ლარს, ხოლო შედარებით მცირე ზომის ტრანზაქციებზე გამოვიყენეთ ჩვენი შიდა პროცედურებით გათვალისწინებული შერჩევის მეთოდი შესასწავლი პირველადი დოკუმენტების იდენტიფიცირებისთვის.

გარდა უნიკალური ტრანზაქციებისა, შევისწავლეთ ორგანიზაციის მიერ გამოყენებული უნიკალური დოკუმენტაცია და ბუღალტრული აღრიცხვის ის შიდა რეგულაციები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ორგანიზაცია შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში.

მოგების გადასახადის შესწავლისთვის, ორგანიზაციის მიერ შესამოწმებელ პერიოდში დეკლარირებული ყველა მოგების გადასახადის დეკლარაცია დავადარეთ ბუღალტრულ/ფაქტობრივ მონაცემებს. მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტის¹ განსასაზღვრად, შევისწავლეთ ორგანიზაციის მიერ შესამოწმებელ პერიოდში გატარებული არსებითი ოპერაციების საფუძველი და მოვითხოვეთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშების სისწორის დასადასტურებლად, შესამოწმებელ პერიოდში ორგანიზაციის მიერ დეკლარირებული გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის ყველა დეკლარაცია და საბანკო ამონაწერი დავადარეთ ბუღალტრულ/ფაქტობრივ მონაცემებს. რისკების გამოვლენისა და იდენტიფიცირებისათვის, ორგანიზაციისგან მოვითხოვეთ ინფორმაცია სააღრიცხვო, თანამშრომელთა მივლინებისა და საწვავის აღრიცხვის პოლიტიკის შესახებ. თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების და მასთან დაკავშირებული დაბეგრის სისწორის გადასამოწმებლად მოვითხოვეთ შრომითი ხელშეკრულებების ყველა უნიკალური (ტიპური) ასლი. თანამშრომლისათვის გადახდილი ხელფასთან გათანაბრებული განაცემების (სარგებელი) შესამოწმებლად, შევისწავლეთ ორგანიზაციის მიერ შევსებული საგადასახადო კითხვარი, სააღრიცხვო პოლიტიკები (ასევე, სააღრიცხვო პოლიტიკების საფუძველზე შედგენილი დოკუმენტები, მაგალითად, მივლინების დოკუმენტაცია) და ბუღალტრული მონაცემები. გადავამოწმეთ ჰყავდა თუ არა ორგანიზაციას საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირები და გააჩნდა თუ არა შეღავათის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მომსახურების გამწევი ფიზიკური პირების გადახდის წყაროსთან დაკავების სისწორის დადგენისათვის, ჩვენი შიდა პროცედურებით დადგენილი შერჩევის შესაბამისად, გადავამოწმეთ მომსახურების გამწევი ფიზიკური პირები. არარეზიდენტი მომსახურების გამწევი პირების შემოსავლებისა და მასზე დარიცხული არარეზიდენტის

¹ 1. განაწილებული მოგება; 2. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; 3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; 4. სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადის სისწორის შემოწმების მიზნით, მოვითხოვეთ არარეზიდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

მიმოხილვის პროცესში, ყურადღება გავამახვილეთ ორგანიზაციის დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებზე, მათ შორის ჩათვლის უფლებით და უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებული ოპერაციებზე. დღგ-ის სისწორის შემოწმების მიზნით, ორგანიზაციის მიერ შესამოწმებელ პერიოდში დეკლარირებული დღგ-ის ყველა დეკლარაცია დავადარეთ ბუღალტრულ/ფაქტობრივ მონაცემებს. ჩასათვლელი დღგ-ის თანხის სისწორის დასადგენად, შევისწავლეთ თითოეული დეკლარაცია და მასზე მიბმული ყველა ანგარიშ-ფაქტურა და საბაჟო დეკლარაცია საანგარიშო თვის ჭრილში შევადარეთ ბუღალტრულ მონაცემებს. შერჩევის საფუძველზე, გამოვყავით ორგანიზაციის მიერ მიღებული ანგარიშ-ფაქტურები და განხორციელებულ სასაქონლო ოპერაციებზე შედგენილი საბაჟო დეკლარაციები, მოვითხოვეთ შესაბამისი ხელშეკრულებები (პირველადი დოკუმენტები). შევამოწმეთ რს პორტალზე არსებული ანგარიშ-ფაქტურებისა და ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების რეესტრის ასახვა/ზმა დეკლარაციებზე. დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვის განსაზღვრისათვის, ორგანიზაციისგან გამოვითხოვეთ საწვავის ჩამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მისი აღრიცხვის პოლიტიკა. სპეციალური ანგარიშ-ფაქტურით შექმნილი საწვავის რაოდენობა, შევადარეთ დეკლარაციით დანართში მითითებულ საწვავის რაოდენობას. უკუდაბეგრის დღგ-ის შემოწმების მიზნით, გამოვითხოვეთ არარეზიდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ქონების გადასახადის შემოწმების მიზნით, ორგანიზაციისგან მოვითხოვეთ ინფორმაცია მის საკუთრებაში ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ქონების თაობაზე. მოწოდებული ინფორმაციისა და საბუღალტრო ბაზების საფუძველზე დავიანგარიშეთ ქონების გადასახადი და შევუდარეთ ორგანიზაციის მიერ დეკლარირებულ მონაცემებს.

ზემოაღნიშნული პროცედურების ფარგლებში, გამოვავლინეთ შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები:

5. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ნაწილში, ორგანიზაციაზე ვრცელდება სსკ-ით ორგანიზაციებისთვის დადგენილი რეგულაციები. კერძოდ, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, ორგანიზაციისათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტს წარმოადგენს:

- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან ან/და არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან (მათ შორის, არ არის დაკავშირებული საქველმოქმედო საქმიანობასთან ან არ გამომდინარეობს გრანტის ხელშეკრულების მიზნიდან);
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, თუ ეს არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან;
- სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

5.1.1. არარეზიდენტი პირები

ორგანიზაციას, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მრავალი მომსახურება აქვს შექმნილი არარეზიდენტი პირებისგან. მომსახურების თუ წევრობისთვის გადახდილი ანაზღაურებების არასრული ჩამონათვალი შემდეგია:

- სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების (კალათბურთის, რაგბის, ფეხბურთის მსოფლიო ან/და ევროპის ჩემპიონატები, ოლიმპიადები და ა.შ.) ჩვენების უფლება/ლიცენზია;
- ფილმების და სერიალების ჩვენების უფლებები/ლიცენზიები;

- სხვადასხვა დოკუმენტური ფილმების (BBC-ის, Arte France-ს, Discovery-ს და სხვა) ჩვენების უფლება/ლიცენზია;
- მსოფლიოს და ევროპის მასშტაბის მუსიკალური და კინო დაჯილდოებების ჩვენების უფლებები;
- სატელიტური ოპერატორების მომსახურებები (Eutelsat SA, Azercom);
- სატელევიზიო ფორმატის გადაცემების („მარტივი ლოგიკა“, „მასტერშეფი“) მომზადების და ქართული მაცურებლისთვის შეთავაზების უფლება;
- სხვადასხვა ფოტო და ვიდეომასალების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენების ლიცენზიები, უფლებები, ხელმოწერის და მხარდაჭერის გადასახადები;
- EBU (European Broadcasting Union) საწევრო გადასახადი და სხვადასხვა აქტივობების სანაცვლოდ გადახდილი თანხები.

ზემოაღნიშნული ოპერაციების შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი საყურადღებო საკითხები, რომლებიც განვიხილავთ არარეზიდენტებთან დაკავშირებული ორივე გადასახადის (წყაროსთან დასაკავებელი გადასახადი, უკუდაბეგრის დღე) მიხედვით.

5.1.2. არარეზიდენტის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადი

ზემოაღნიშნული მომსახურებისათვის გადახდილ თანხებს ორგანიზაცია ბეგრავს გადახდის წყაროსთან **10%-იანი** განაკვეთით. შესამოწმებელ პერიოდში სულ დარიცხული და გადახდილია **779,165** ლარი.

ჩვენი მიახლოებითი გაანგარიშებით, ორგანიზაციას შესაძლებლობა აქვს მოახდინოს ზემოაღნიშნული გადასახადის ოპტიმიზაცია და დაზოგოს მინიმუმ გადახდილი თანხის **50%**, რაც მხოლოდ **2019** წლის ჭრილში იქნება **389,000** ლარი. მნიშვნელოვნად დიდი იქნება **2020** და შემდგომი წლების ფინანსური ეფექტიც.

შენიშვნა:

საგადასახადო ხანდაზმულობის 3 წლიანი პერიოდის გათვალისწინებით, ორგანიზაციას შესაძლებლობა აქვს ოპტიმიზაცია გაავრცელოს 2017-2018 წლებზეც და თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნულ წლებში შეტენები იქნება მსგავსი, რაც 2019 წელს არის, დადებითი ფინანსური ეფექტი 1 მილიონ ლარს გადააჭარბებს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ორგანიზაციის მიერ 2017 წლის საგადასახადო დეკლარაციების დაზუსტების შემთხვევაში, მოცემული წლის ხანდაზმულობის ვადა გაიზრდება ერთი წლით და 2020 წლის ნაცვლად ამოიწურება 2021 წელს.

ოპტიმიზაციის გზები:

- ჩვენი მოსაზრებით, ორგანიზაციის მიერ არარეზიდენტებისთვის გადახდილი თანხების დიდი ნაწილი, სსკ-ის მიზნებისთვის წარმოადგენს როიალტს, რომელიც წყაროსთან დაბეგრას ექვემდებარება 5%-იანი განაკვეთით;
- არარეზიდენტები წარმოადგენენ იმ ქვეყნების რეზიდენტებს, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს DTA და აღნიშნულის მიხედვით მოცემული არარეზიდენტები საქართველოში გადახდის წყაროსთან დაბეგრას არ ექვემდებარებიან.

რეკომენდაცია

- ორგანიზაციას შესაძლებლობა აქვს მოიპოვოს არარეზიდენტების შესაბამისი ქვეყნების რეზიდენტობის დამადასტურებელი სერტიფიკატები და მათ საფუძველზე ისარგებლოს DTA-ით დაწესებული შეღავათებით;
- იმ ქვეყნის რეზიდენტებისთვის გადახდილი როიალტები, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული არ აქვს DTA, დაბეგროს 5%-იანი განაკვეთით.

შენიშვნა 1:

ორგანიზაციის განცხადებით, **2013** წელს განხორციელებული საზოგადოებრივი მაუწყებლის **2007-2012** წლების საგადასახადო შემოწმებისას, მაკონტროლებელმა ორგანომ მსგავსი მომსახურებები არ განიხილა როიალტად საკითხი გასაჩივრდა, თუმცა შედეგი არ შეცვლილა.

ჩვენ არ ვიცნობთ ორგანიზაციის **2007-2012** წლების საგადასახადო შემოწმების და დავის ფაქტობრივ გარემოებებს დეტალურად, თუმცა, მიუხედავად ამისა, ვრჩებით ჩვენს პოზიციაზე გარკვეული ოპერაციების როიალტად განხილვის ნაწილში.

რეკომენდაცია

ჩვენი მოსაზრებით, საკითხის გადაჭრის საუკეთესო გზას წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ მაკონტროლებელი ორგანოსათვის სსკ-ის 47-ე მუხლით განსაზღვრული წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნით მიმართვა.

შენიშვნა:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მაკონტროლებელი ორგანოს მიერ გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილება ორგანიზაციას, სსკ-ით დადგენილი ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადის გათვალისწინებით, შეუძლია გაავრცელოს **2017-2019** წლებზეც.

გთხოვთ, ისიც გაითვალისწინოთ, რომ ორგანიზაციის მიერ **2017** წლის საგადასახადო დეკლარაციების დაზუსტების შემთხვევაში, მოცემული წლის ხანდაზმულობის ვადა გაიზრდება ერთი წლით და **2020** წლის ნაცვლად ამოიწურება **2021** წელს.

შენიშვნა 2:

ჩვენ ვივარაუდებთ, რომ არარეზიდენტი პირები საქართველოში არ არიან რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად და არ წარმოქმნიან მუდმივი დაწესებულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზაციასთან ან სხვა მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში. ზემოთ მოცემული შედავათით სარგებლობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ორგანიზაციასთან აღნიშნული არარეზიდენტების მიერ დადებულ ხელშეკრულებებზე.

უკუდაბეგვრის დღე

არარეზიდენტებისთვის მომსახურების, საწევრო და სხვა მხარდაჭერის და აქტივობების ფარგლებში დარიცხული თანხების კუთვნილი უკუდაბეგვრის დღე **2019** წელს შეადგენს **1,122,450** ლარს. აღნიშნული თანხიდან ორგანიზაციას, დღე-ის ე.წ. პროპორციის წესით ჩავლის მიხედვით უკან დაბრუნებული აქვს **68,532** ლარი. ჩაუთვლელი დღე, რომელიც ორგანიზაციისთვის წარმოადგენს ხარჯს, შეადგენს **1,053,918** ლარს (**1,122,450-68,532**).

ოპტიმიზაციის გზები:

გადასახადის შემცირების პირველი გზა უშუალოდ არის მიზმული ზემოთ მოცემულ თავში განხილულ საკითხთან.

- არარეზიდენტის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის **10%**-იანი განაკვეთის **5%**-მდე შემცირება ან დაბეგვრისგან საერთოდ გათავისუფლება, ამცირებს უკუდაბეგვრის დღე-ით დასაბეგრი ბაზა, რაც თავის მხრივ ამცირებს უკუდაბეგვრის დღე-ის.

მაგალითად, თუ დაუშვებთ, რომ არარეზიდენტისთვის ფაქტობრივად გადასახდელი როიალტი შეადგენს **100** ლარს, რომელიც ორგანიზაციას დაბეგრილი აქვს **10%**-იანი განაკვეთით, მისი კუთვნილი უკუდაბეგვრის დღე იქნება **19.99** ლარი ($100/90*18\%$); განაკვეთით **5%**-მდე შემცირების შემთხვევაში

უკუდაბეგვრის დღე შეადგენს 18.95 ლარს ($100/95\%*18\%$), ხოლო წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისგან გათავისუფლების შემთხვევაში - 18 ლარს ($100*18\%$).

- სსკ-ის თანახმად, უკუდაბეგვრას ექვემდებარება არარეზიდენტი ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) ან არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება.

ჩვენი მოსაზრებით, არარეზიდენტი ორგანიზაციისთვის, რომელიც გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიზნებიდან და შესაბამისად დადასტურდება, რომ არ უკავშირდება მის ეკონომიკურ აქტივობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარიცხული თანხები არ ექვემდებარება უკუდაბეგვრას. ამ კონტექსტი განსახილველ ერთ-ერთ სუბიექტად ჩვენ მიგვაჩნია EBU.

რეკომენდაცია

ჩვენი მოსაზრებით, საკითხის გადაჭრის საუკეთესო გზას წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ შემოსავლების სამსახურისთვის სსკ-ის 47-ე მუხლით განსაზღვრული წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნით მიმართვა.

შენიშვნა:

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილება ორგანიზაციას, სსკ-ით დადგენილი ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადის გათვალისწინებით, შეუძლია გაავრცელოს 2017-2019 წლებზეც.

გთხოვთ, ისიც გაითვალისწინოთ, რომ ორგანიზაციის მიერ 2017 წლის საგადასახადო დეკლარაციების დაზუსტების შემთხვევაში, მოცემული წლის ხანდაზმულობის ვადა გაიზრდება ერთი წლით და 2020 წლის ნაცვლად ამოიწურება 2021 წელს.

5.2. საშემოსავლო გადასახადი

5.3. გამოვლენილი ფასეულობების დანაკლისი

მაუწყებლის მიერ, ინვენტარიზაციების შედეგად გამოვლენილი სხვადასხვა სახის ფასეულობების დანაკლისი (ძირითადი საშუალებები და მატერიალური ფასეულობები) ჩამოიწერება როგორც დანაკლისი და მოთხოვნის სახით აისახება შესაბამის ფასეულობაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიმართ მოთხოვნის სახის.

შესამოწმებელ პერიოდში სულ გამოვლენილია 4,233 ლარის დანაკლისი, თუმცა გასული წლებიდან მოყოლებულია ჯამური დანაკლისის შედეგად დაფიქსირებული მოთხოვნა შეადგენს 569,275 ლარს, რომელიც ნაწილდება 76 მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე. რამდენიმე პირზე მოთხოვნა 50,000 ლარს აღემატება, ხოლო ორ პირზე კი საერთოდ შეადგენს 72,527 და 74,335 ლარს.

ორგანიზაციას, შესამოწმებელ პერიოდში გამოვლენილი დანაკლისი, 4,233 ლარი დაბეგრულია აქვს დღე-ით (გადასახადი შეადგენს 762 ლარს ($4,233*18\%=762$)) და მოგების გადასახადით (გადასახადი შეადგენს 882 ლარს ($4,233*118\%/85\%*15\%=882$)).

შენიშვნა:

28/06/2019-ის №4906 ცვლილებით, სსკ-ის 97-ე მუხლის მე-7 ნაწილში განხორციელდა ცვლილება რომლის თანახმადაც სსკ-ის 98¹-98⁴ მუხლებით გათვალისწინებული გადახდების/განაცემების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით, ხოლო თუ მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი დამატებული ღირებულების გადასახადს მოიცავს - საბაზრო ფასით, დღე-ის გარეშე.

შესაბამისად, მიუხედავად ჩვენ მიერ ქვემოთ განხილულისა, თუ ორგანიზაცია გამოვლენილი დანაკლისის დაბეგრას განახორციელებს მის მიერ დადგენილი წესით, დანაკლისი მოგების გადასახადით უნდა დაიბეგროს დღგ-ის გარეშე განსაზღვრული თანხიდან.

ორგანიზაციის განცხადებით, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გარკვეულ ნაწილზე განხორციელებულია სამართლებრივი რეაგირება და შესაბამისი დოკუმენტაცია გადაგზავნილია საქართველოს პროკურატურაში.

ზემოაღნიშნულ საკითხს მოცემულ ანგარიშში იმიტომ გთავაზობ, რომ მოსალოდნელი საგადასახადო რისკი ვრცელდება არა მხოლოდ შესამოწმებელ პერიოდში გამოვლენილ 4,233 ლარიან დანაკლისზე, არამედ, ნაშთად დაფიქსირებულ 569,275 ლარზე, რომლის საგადასახადო შედეგიც საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთის დაა სსკ-ით დადგენილი ჯარიმის გათვალისწინებით, მნიშვნელოვან თანხას აღწევს.

ჩვენი მოსაზრებით, ფაქტობრივი რეალობა და გადასახადებით დაბეგრის ლოგიკა არ შეესაბამება ერთმანეთს. კერძოდ, თუ ორგანიზაცია გამოვლენილ დანაკლისს აკისრებს შესაბამის ფასეულობაზე პასუხისმგებელ დაქირავებულ პირს, იმავდროულად დანაკლისის სრული ღირებულების დღგ-ით და მოგების გადასახადით დაბეგვა უსამართლოდ მიგვაჩნია. დამატებითი განხილვის თემაა, საერთოდ ექვემდებარება, თუ არა ასეთ შემთხვევაში გამოვლენილი დანაკლისი დღგ-ით და მოგების გადასახადით დაბეგვას.

გამოვლენილი ისეთი დანაკლისი, როდესაც განსაზღვრულია მატერიალურად პასუხისმგებელი პირი და არ არის დაწყებული შესაბამისი სამართლებრივი პროცესი, სასამართლოს ან სხვა გზით ბრალეულ პირისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ასეთი დანაკლისი ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვას, ხოლო მოგების გადასახადით კი არა.

არ გამოვრიცხავთ, რომ ნაშთად დაფიქსირებული 569,275 ლარიდან გარკვეული ნაწილი ექვემდებარებოდეს ჩამოწერას, სამოქალაქო და საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით.

მიგვაჩინა, რომ ზემოაღნიშნული საკითხზე ორგანიზაციამ უნდა გაამახვილოს ყურადღება, შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა დანაკლისის გამოვლენის დროს მატერიალურად პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურების შესახებ, რის შემდგომაც, ორგანიზაციისთვის, შესაძლებელი იქნება კონკრეტული დაბეგრის რეჟიმის განსაზღვრა.

შენიშვნა:

საკითხი მეტად კომპლექსურია და ჩვენი საგადასახადო პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია მოგახსენოთ, რომ იგი ხშირად გამხდარა დავის საგანი. აღნიშნულის და იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციის ფუნქციონირების პერიოდში მსგავსი შემთხვევები მუდმივად იარსებებს, საკითხის გადაჭრის საუკეთესო გზას წარმოადგენს შემოსავლების სამსახურისთვის წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნით მიმართვა, ოპერაციასთან დაკავშირებით ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეთავაზება, საგადასახადო ორგანოს პოზიციის დაფიქსირება, როგორც ნაშთად არსებულ 569,275 ლარზე, ისე მომავალში გამოვლენილ დანაკლისზე და ოპერაციის აღნიშნულის მიხედვით დაბეგვრა.

5.3.1. შეღავათით მოსარგებლე დაქირავებული პირები

ორგანიზაციის გარკვეული თანამშრომლები სარგებლობს სსკ-ის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შეღავათით (ძირითადად ომის ვეტერანები).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თანამშრომლებზე შეღავათის ფარგლებში გაცემული ჯამური თანხა (82,905 ლარი) და მასთან დაკავშირებით მოსალოდნელი თეორიული საგადასახადო რისკი არ არის არსებითი, ჩვენ მაინც გთავაზობს გამოვლენილ საკითხი, რომელიც ოპერაციის შესწავლისას გამოვლინდა.

მოქმედი კანონმდებლობით, ხელფასის ნაწილში დაქირავებულზე შეღავათის გავრცელებისთვის, შეღავათით სარგებლობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად (მაგალითად: ომის ვეტერანის მოწმობა, მარტოხელა დედის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ.) უნდა არსებობდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით დაქირავებულზე შეღავათით სარგებლობის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა.

ზემოთ ნახსენები ცნობები, ჩვენთვის მოწოდებული შეღავათით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტებს გარკვეულ ნაწილს არ ახლავს. ორგანიზაციის განცხადებით, ცნობები არსებობს, თუმცა არის გასული წლების და გადაცემული აქვს არქივს.

ჩვენ არ უარყოფთ ცნობების არსებობას, თუმცა ვადასტურებთ, რომ საგადასახადო შემოწმებისას მათი გადამოწმება მაკონტროლებელი ორგანოს მიერ აუცილებლად მოხდება.

შენიშვნა:

ორგანიზაციას შესაძლებლობა აქვს აღნიშნული ცნობები ელექტრონულად გამოითხოვოს რს პორტალიდან.

5.4. დამატებული ღირებულების გადასახადი

5.4.1. საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობა და ძირითადი საშუალებების მიხედვით დღგ-ის ჩათვლის წესი

ორგანიზაციას გადაწყვეტილი აქვს ტელევიზიის ახალი შენობის მშენებლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით 06/11/2017-ში შპს „თბილქალაქპროექტთან“ გაფორმდა ხელშეკრულება №195-6. აღნიშნულ კომპანიას უნდა განეხორციელებინა ქ. თბილისში, მ. კოსტავას №68-ში ორგანიზაციის არსებული და მესამე კორპუსის შენობების არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული სამუშაოები (არქიტექტურული პროექტისა გეგმის მომზადება, ხარჯების კალკულაცია და ა.შ.).

მოგვიანებით, ტელევიზიისთვის განისაზღვრა ახალი შენობის მშენებლობა ახალ ადგილმდებარეობაზე, კერძოდ ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას №31-ში მდებარე 01.14.05.006.118 საკადასტრო კოდზე არსებულ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნულის გამო, 19/12/2017-ში №195-6 ხელშეკრულებაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შესამოწმებელ პერიოდში შპს „თბილქალაქპროექტის“ მიერ განხორციელდა 148,305 ლარის (დღგ-ის ჩათვლით 175,000 ლარი) ღირებულების სამუშაოების მიწოდება ორგანიზაციისთვის. 2019 წლამდე ტელევიზიის ახალ შენობასთან დაკავშირებით დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე 2141, ფიქსირდება 791,779 ლარი.

დღგ-ის ნაწილში, მშენებლობასთან დაკავშირებით, სსკ ითვალისწინებს განსაკუთრებულ რეგულაციას, რომელიც ტელევიზიის ახალი შენობის მშენებლობის მოსალოდნელი დიდი ღირებულების და ორგანიზაციის მიერ დღგ-ის ჩათვლებთან დაკავშირებით არჩეული ე.წ. პროპორციის მეთოდის გამოყენების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი საგადასახადო შედეგების მომტანი იქნება. აღნიშნულის გამო, ქვემოთ, დეტალურად გთავაზობთ ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ რეგულაციას, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ორგანიზაციამ.

საკითხის საკანონმდებლო რეგულირება

სსკ-ის 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დღგ-ის 18%-იანი განაკვეთით დასაბეგრ ოპერაციას წარმოადგენს საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება, რომლის დროსაც:

- დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება აქტივების ღირებულებით, რომელშიც შეიტანება მათი შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები (დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები (დანახარჯები), რომლებიც ზრდის აქტივების ღირებულებას;

- დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში მიღების მომენტი.

ამასთან, სსკ-ის 174-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არის: „საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების შემთხვევაში ამ ოპერაციაზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა, რომელიც იმავდროულად ჩათვლის მიღების საფუძველია“.

ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „გ“ განიხილავს შემთხვევას, როდესაც ძირითადი საშუალება გამოიყენება ან/და გამოყენებული იქნება ერთდროულად ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამოიჯვნა შეუძლებელია (ორგანიზაცია საკუთარ საქმიანობას დღგ-ის ნაწილში განიხილავს მსგავსად). ასეთ შემთხვევაში:

- თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ წინა საგადასახადო წლის მიხედვით ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 20%-ზე ნაკლებია, პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა, ამასთანავე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს გასაუქმებელი დღგ-ის თანხა განსაზღვროს კალენდარული წლის საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად;
- სხვა შემთხვევაში, დღგ-ის გადამხდელს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე მიიღოს ჩათვლა მხოლოდ ყოველი კალენდარული წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვაში ჩათვლის უფლების მქონე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად.

შენიშვნა:

ზემოაღნიშნული ყოველწლიურად გასაუქმებელი ან ჩასათვლელი დღგ-ის თანხა გაიანგარიშება:

- შენობა-ნაგებობებზე - ექსპლუატაციაში მიღების წლიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეათედის ოდენობით;
- სხვა ძირითად საშუალებებზე - ექსპლუატაციაში მიღების წლიდან 5 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეხუთედის ოდენობით.

მაგალითი

დავუშვათ ორგანიზაციამ, ტელევიზიის ახალი შენობის მშენებლობა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაიწყო 2018 წელს და დასრულდა და ექსპლუატაციაში მიიღო 2020 წლის ივლისში. აღნიშნულ თარიღამდე ორგანიზაციის მიერ მშენებლობასთან დაკავშირებით დღგ-ის გადამხდელი პირებისგან შექმნილია დღგ-ის ჩათვლით 118 ლარის სამუშაოები, დღგ-ის არაგადამხდელი პირებისგან კი - 25 ლარის.

ექსპლუატაციაში შესვლის მომენტისთვის (2020 წლის ივლისი), ორგანიზაციას სრულად უნდა ჰქონდეს ჩათვლილი დღგ 18 ლარის ოდენობით. ორგანიზაციამ, 2020 წლის ივლისის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციაში 18%-ით დასაბეგრ ბაზაში უნდა ასახოს 125 ლარი (118-18+25), რასაც დაერიცხება დღგ 22.50 ლარის ოდენობით. მოცემული 22.50 ლარი, იმავდროულად წამოადგენს ჩათვლის საფუძველს, თუმცა ამ მომენტიდან ორგანიზაციამ უნდა იხელმძღვანელოს ჩვენ მიერ საკანონმდებლო რეგულაციის ნაწილში განხილული წესებით და 22.50 ლარი გადაანაწილოს 10 წელზე და 2020 წელს ჩაითვალოს მხოლოდ 2.25 (22.50/10) ლარის ის წილი რაც ექნება მის მიერ ე.წ. წლიური პროპორციის ჭრილში. პირობითად , თუ დავუშვებთ, რომ ასეთი კოეფიციენტი იქნება 7%, ორგანიზაცია 2020 წელს ახალი შენობის დღგ-ის ნაწილში ჩაითვლის 0.16 ლარს.

შენიშვნა 1:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ორგანიზაცია ზემოაღნიშნულ წესს უნდა იყენებდეს ყველა ძირითადი საშუალების მიხედვით. ისიც უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციის რამდენიმეათასიანი ოდენობის

ძირითადი საშუალებების მიხედვით აღნიშნულის პრაქტიკული განხორციელება დაკავშირებულია ბუღალტრული განყოფილების კოლოსალურ შრომასთან, თუმცა სსკ აწესებს რეგულაციებს საგადასახადო მიზნებისთვის, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელების ვალდებულება და მისი გადაჭრის გზები გადამხდელის ვალდებულებაა.

შენიშვნა 2:

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, მშენებლობის ღირებულებაში უნდა აისახოს მის დასრულებამდე გაწეული ყველა ის შესყიდვა/შემენა, რომელიც ზრდის აქტივების ღირებულებას (პროექტირება, ზედამხედველობა, მშენებლობა, მონტაჟის და ა.შ.).

შენიშვნა 3:

მიმდინარე მდგომარეობით (2020 წლის ივლისი), საკადასტრო კოდზე 01.14.05.006.118 არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 18,761 კვ.მ მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაშია. დამატებით იურიდიულ შესწავლას საჭიროებს ორგანიზაციის მიერ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული განსახორციელებელი მშენებლობის სამართლებრივი სტატუსი, წარმოადგენ იგი აღნაგობას, მშენებლობის პროცესში ან/და დასრულებისას უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს და ა.შ., რადგან აღნიშნული გავლენას ახდენს მშენებლობის ოპერაციის დღ-ით დაბეგვრაზე. ზედმეტი სამართლებრივი სტატუსის დადგენის შემდგომ, შესაძლებელი იქნება, ოპერაციის დღ-ით დაბეგვრაზე კონკრეტული რეკომენდაციების მიცემა.

5.4.2. ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)

ორგანიზაცია, ქონების გადასახადის (გარდა მიწისა) ნაწილში სსკ-ის თანახმად გათავისუფლებულია გადასახადისგან, გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ორგანიზაცია მოქმედებს სსკ-ის 30-ე მუხლის მე-4 ნაწილით და ქონებისა და საქმიანობის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მის ეკონომიკურ საქმიანობასთან, განიხილავს საწარმოს ქონებად და საქმიანობად, ხოლო იმის გამო, რომ მათი დეტალურად გამიჯვნა შეუძლებელია, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებისა და საქმიანობის გამოანგარიშების მიზნით იყენებს მის მიერ მიღებულ შემოსავალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრით წილს და ისე განსაზღვრავს ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს.

იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციის არაეკონომიკური ნაწილი 2019 წლის მონაცემების მიხედვით დაახლოებით შეადგენს 93%-ს, კუთვნილი ქონების გადასახადი არ წარმადგენს არსებით თანხას (2019 წელს იგი შეადგენს 9,250 ლარს). მიუხედავად ამისა, თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ შემდეგზე.

ორგანიზაცია, მის მიერ დღ-ის ჩათვლასთან დაკავშირებით არჩეული მეთოდის მიხედვით, დღ-ის ე.წ. პროპორციის მეთოდით ჩათვლის შემდგომ დარჩენილ თანხას ასახავს ხარჯების ანგარიშზე. შესამოწმებელ პერიოდში სულ ჩათვლას დაქვემდებარებულმა დღ-მა შეადგინა 3,543,211 ლარი, საიდანაც პროპორციის მეთოდი მიხედვით სულ ჩათვლილია 229,168 ლარი (ჩასათვლელი მთლიანი თანხის დაახლოებით 7%). დარჩენილი თანხა, 3,314,043 ლარი (3,543,211-229,168) ასახულია 2019 წლის ხარჯებში.

აღნიშნული 3,314,043 ლარიდან, ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების კუთვნილი დღ, ჩვენი გაანგარიშებით, დაახლოებით შეადგენს 960,000 ლარს, საიდანაც გამოყენებული ჩათვლის პროპორციის კოეფიციენტით გაანგარიშებული ჩათვლილი დღ შეადგენს 62,000 ლარს, ხოლო ჩაუთვლელი დღ კი - 898,000 ლარს.

ჩვენი მოსაზრებით, აღნიშნული ჩაუთვლელი დღ-ის ხარჯებში ასახვის საკითხი მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯას იმასთან დაკავშირებით, რომ ხომ არ უნდა მოხდეს აღნიშნული თანხის ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ღირებულებაში ასახვა, იმ

არგუმენტაციით, რომ აქტივების შეძენისას წინასწარ არის ცნობილი, რომ ორგანიზაცია დღგ-ის უდიდესი ნაწილის ჩათვლას ვერ განახორციელებს.

ზემოაღნიშნული 898,000 ლარის ეფექტი (თუ ჩაუთვლელ დღგ-ის ორგანიზაცია ასახავდა აქტივების ღირებულებაში) ორგანიზაციის 2019 წლის ქონების გადასახადში არის 31,430 ლარი ($898,000/2*17\%$).

იმასაც მოგახსენებთ, რომ ორგანიზაციის მიერ დღგ-ის ჩათვლისთვის გამოყენებული პროპორციის მეთოდის პირობებში, ჩაუთვლელი დღგ-ის ძირითადი საშუალებების ღირებულებაზე დამატება მოითხოვს საბუღალტრო განყოფილების საკმაო რესურსის დათმობას.

ზემოთ მოცემულის, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვის ადგილობრივი და საერთაშორისო მარეგულირებელი ნორმების, მოსალოდნელი საგადასახადო ეფექტის და საჭირო სამუშაო რესურსის ანალიზის საფუძველზე ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს ორგანიზაციის ოპტიმალური გადაწყვეტილება.

შენიშვნა:

ზემოაღნიშნულ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება იქნება საჭირო იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ღირებულების ძირითადი საშუალებები ან/და არამატერიალური აქტივების შეძენა.

მიწაზე ქონების გადასახადი

მიწაზე ქონების გადასახადის ანალიზისას არ გადაგვიმოწმებია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული მონაცემები და ვიხელმძღვანელებთ მხოლოდ ორგანიზაციის მიერ მოწოდებული და ქონების გადასახადის დეკლარაციაში ასახული ინფორმაციით.